



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

4 სთბ 2023 წელი
N 25/36

ეგზ.: N 1

ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2021
წლების საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	9
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტის საგანი	9
	აუდიტის მასშტაბი	9
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	11
	აუდიტის მეთოდოლოგია	11
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	11
	2. აუდიტის მიგნებები	12
დანართები	დანართები	40
	საკონტაქტო ინფორმაცია	46

ტერმინები და შემოკლებები

-) ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
-) ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.
-) მერია – ხობის მუნიციპალიტეტის მერია.
-) მუნიციპალიტეტი – ხობის მუნიციპალიტეტი.
-) საკრებულო – ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
-) შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

შესყიდვების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ხოზის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 11%¹ და 17%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 6,242.6 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რითაც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

ხარვეზებით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. შედეგად, მუნიციპალიტეტი იბარებდა ხარვეზებით შედგენილ დოკუმენტაციას, რაც გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე, ამასთანავე, აუარესებდა მერიის პირობებს.

დარიცხული და ამოუღებელი საჯარიმო თანხები

ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებლებზე დარიცხული ჯარიმების ამოღებისას მუნიციპალიტეტი მოქმედებდა საკუთარი ინტერესების საზიანოდ. შედეგად, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დარიცხულმა და ამოუღებელმა ჯარიმებმა სულ 806.9 ათასი ლარი შეადგინა. არსებობს რისკი, რომ გადაწყვეტილებები საჯარიმო თანხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით მიღებულია პირადი ინტერესების გათვალისწინებით.

სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დაუცველობა

შესყიდვების პროცესის კონტროლის სისუსტის გამო, მერიამ გეგმა-გრაფიკის დარღვევისას მიმწოდებლებს პირგასამტეხლო არ დაარიცხა. აღნიშნულმა ქმედებამ ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურული პროექტების დაგვიანებით დასრულებას. ამასთანავე, მერიამ ვერ მიიღო, დაახლოებით, 432.4 ათასი ლარის კუთვნილი საჯარიმო თანხა.

პრეტენდენტების დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია

სოფლის გზების ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის შესყიდვისას მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ გამოიყენა არაერთგვაროვანი მიდგომა და დაუსაბუთებლად მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, რამაც კონკურენციის შეზღუდვა გამოიწვია. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დაკარგა ჯამში 321.6 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

¹ ვერ იქნა ათვისებული 1,137.0 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 1,926.5 ათასი ლარი.

³ 2020 წელს - 1,282.7 ათასი ლარი, 2021 წელს - 1,620.8 ათასი ლარი.

მუნიციპალური სერვისების მიწოდება

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია; სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი, მოსახლეობის ნაწილს წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება; არალიცენზირებული პირი ვერ უზრუნველყოფს წყლის გადასახადის ადმინისტრირებას, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები არაპროდუქტიულად იხარჯება.

გამოუყენებელი სამშენებლო მასალები

მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის დასახმარებლად ვერ შეარჩია სამუშაოების შესრულების სათანადო ფორმა, რის გამოც ოჯახებისათვის გადაცემული სამშენებლო მასალები გამოუყენებელია. შედეგად, 123.8 ათასი ლარი დახარჯულია არაეფექტიანად და სრულად არ არის მიღწეული პროექტით გათვალისწინებული მიზნები.

ქონების მართვა და განკარგვა

მიუღებელი საიჯარო შემოსავლები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად და დროულად მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში და ვერ მიიღო 38.6 ათასი ლარის შემოსავალი. კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი სხვადასხვა პირის მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით არამართლზომიერი სარგებლობის შემთხვევები.

იურიდიული პირების მართვა და დაფინანსება

ა(ა)იპ – სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში 22.5 ათასი ლარით დააფინანსა მის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგი და არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას განხორციელებული ღონისძიებებისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტის ჩართულობა დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

საკრებულოს წევრებზე დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 160.7 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

მმართველობითი გადაწყვეტილებები

დელეგირებული უფლებამოსილების საკუთარი შემოსავლიდან დაფინანსების ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი 162.8 ათასი ლარის ხარჯი გამოიწვია.

დასუფთავების მოსაკრებლის არასათანადო ადმინისტრირება

მერიამ ვერ უზრუნველყო საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრულყოფილი ბაზის შექმნა და

მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

საკონსულტაციო მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა

მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა თუ რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით 20.0 ათასი ლარის საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მერია ვალდებული იყო პირველ რიგში გამოეყენებინა საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საბანკო მომსახურების შესყიდვის ნაკლოვანება

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ემსახურებოდა ბანკი, რომელიც ანგარიშზე ფულადი რესურსების განთავსების სანაცვლოდ ურიცხავდა სარგებელს. მერიამ არ ჩაატარა ბაზრის კვლევა საბანკო მომსახურების საუკეთესო შეთავაზების გამოსავლენად, რომელიც მუნიციპალიტეტს მოუტანდა დამატებით ფინანსურ სარგებელს.

საბიუჯეტო პროცესების ხარვეზები

მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესი მიმდინარეობდა ნაკლოვანებებით: ხარვეზები გამოვლინდა პრიორიტეტების დოკუმენტის ფორმირების, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების საკრებულოში დროულად წარდგენისა და შედგენის მიმართულებებით.

ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

ინვენტარიზაცია

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №3: მერიამ: შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები;

არ დაუშვას არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში;

შეისწავლოს/გამოავლინოს ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საჯარიმო თანხების ამოღების სისტემურ პრობლემაზე.

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამუშაოების მონიტორინგის წესი. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს გეგმა-გრაფიკით გაწერილი სამუშაოების მოცულობის დადასტურების პრინციპი გეგმა-გრაფიკის ყოველი კონკრეტული თარიღისათვის, ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. გეგმა-გრაფიკებით დადგენილი პირობების დაუცველობის შემთხვევაში მერიამ გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, სამუშაოების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში დასრულებასა და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

რეკომენდაცია №5: მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას. აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

რეკომენდაცია №6: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია №7: საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ, რომელიც მიზანშეწონილია დაფუძნებული იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პრინციპებზე. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას.

მერიამ დაანერგოს საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს დამონტაჟებული საწვავის „ჩიპების“ მთლიანობის შემოწმება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას; ასევე, სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლოა, განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს საწვავის რაციონალურად და მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენებას.

რეკომენდაცია №8: მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების განკარგვის პროცესის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები გადაუხდელი საიჯარო ქირისა და დარიცხული საურავის ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზების მიზნით.

რეკომენდაცია №9: მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

რეკომენდაცია №10: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა

მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №11: მერიამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

რეკომენდაცია №12: მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ხობის მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ ქმნის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ხობის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო

და მარეგულირებელი ნორმები:⁴

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის № 14 დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

⁴ 2020-2021 წლებში მოქმედი რედაქციით.

- ქ) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის № 17 დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- კ) მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სხვა სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 22 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 57 სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრს – ქ. ხობს.⁵ მუნიციპალიტეტის ფართობია 676 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 27.8 ათას კაცს.⁶

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 5,631.0 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 19,879.8 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 1,172.3 ათასი ლარი; განათლება – 4,689.4 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 2,215.4 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1,640.9 ათასი ლარი.

⁵ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge - 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

⁶ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge - 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁷ მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁸

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020-2021 წლების შემოსულობებმა 37,517.5 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 35,228.8 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2020-2021 წლებში (ათასი ლარი)⁹

დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულების %	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულების %	სულ ფაქტი
შემოსულობები	16917.3	18180.7	107	18403.6	19336.8	105	37517.5
შემოსავლები	16317.3	17504	107	18373.6	17737.8	97	35241.8
არაფინანსური აქტივების კლება	600	676.7	113	30	1599 ¹⁰	5330	2275.7
ფინანსური აქტივების კლება	0	0		0	0		0
ვალდებულებების ზრდა	0	0		0	0		0
გადასახდელები	19545.3	17046.9	87	21497.5	18181.9	85	35228.8
ხარჯები	9205.3	7845.2	85	10128.5	8748.1	86	16593.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	10222.9	9086.1	89	11309	9382.5	83	18468.6
ვალდებულებების კლება	117.1	115.6	99	60	51.3	86	166.9
ნაშთის ცვლილება	-2628.0	1133.8		-3093.9	1154.9		

ორივე საბიუჯეტო წლისათვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების მუხლები, კერძოდ:

1) მერიამ სათანადოდ ვერ დაგეგმა შემოსავლების მოსალოდნელი შესრულება და 2020-2021 წლებში ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებამ ჯამში 2,196.6 ათასი ლარი შეადგინა.¹¹ შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁹ წყარო: ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

¹⁰ 2021 წელს გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით მუხლის მკვეთრი ზრდა გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზებით.

¹¹ 2020 წელს - 1,263.4 ათასი ლარი; 2021 წელს - 933.2 ათასი ლარი.

კონკრეტულ საბიუჯეტო წლებში არ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსის ათვისება;

- ს) მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები და ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სკოლების, სპორტული მოედნების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები; შეუსაბამოდ დაიგეგმა ან/და არ ჩატარდა კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებები.

საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2,647.3 ათასი ლარი. 2020 წლისათვის დაიგეგმა 2,628.0 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების დაგროვებამ 1,133.8 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 3,781.1 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 1,282.7 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.¹² 2021 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 3,093.9 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 1,154.9 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 4,936.0 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 1,620.8 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების/ვალდებულებების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზები.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 115 ხელშეკრულებით,

¹² თავისუფალი ნაშთი - ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6.

ღირებულებით – 23,863.7 ათასი ლარი.¹³ მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მიმღები ჯგუფი. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის¹⁴ მიერ გაცემული დასკვნების გათვალისწინებით, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

აუდიტის ჯგუფმა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად,¹⁵ რის შედეგად გამოვლინდა დაზიანებული ობიექტები. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა 2020 წელს შეისყიდა შავდელეს ადმინისტრაციული ერთეულის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაო, ღირებულებით – 2,498.9 ათასი ლარი.¹⁶ გზის ორი მონაკვეთი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული.¹⁷

გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 10 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 3,743.7 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია საგზაო, განათლების, სპორტისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. ინფორმაცია 2020-2021 წლებში შესყიდული და დაზიანებული პროექტების შესახებ ასახულია დანართში №1.

როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას, სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, ძირითადად აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომელთა გამოვლენა საექსპერტო დაწესებულებას ვალდებულებათ. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო გასული. მიუხედავად ამისა, მერიის შესაბამის სამსახურს ყველა ობიექტის მონიტორინგი არ განუხორციელებია, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემდა გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მიმწოდებლებისათვის მოეთხოვა დაზიანებების გამოსწორება.¹⁸ შესაბამისად,

¹³ 10.0 ათასი ლარის და მეტი ღირებულების პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება.

¹⁴ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტების შემთხვევაში, სამუშაოებს ამოწმებდა შპს „ექსპერტ ჰაუსი“ (NAT190007230) და შპს „შპს სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“ (SPA210001631).

¹⁵ 2022 წლის 29 და 30 მარტს.

¹⁶ NAT190001965, მიმწოდებელი შპს „შარა-გზამშენი პირველი“.

¹⁷ გზის რამდენიმე მონაკვეთზე აგრეთვე შეინიშნება გრძივი და განივი ბზარები.

¹⁸ მუნიციპალიტეტმა 11 შემთხვევიდან მიმწოდებლებს ხარვეზების გამოსასწორებლად მიმართა მხოლოდ 4 ხელშეკრულების ფარგლებში. სამმა მიმწოდებელმა ხარვეზი გამოსწორა.

მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული წუნის მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით აღმოფხვრა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 6,242.6 ათასი ლარის¹⁹ ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლუატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

2.2.2 ხელშეკრულებების ადმინისტრირების ხარვეზები

2.2.2.1 დარიცხული და მიუღებელი ჯარიმები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²⁰

გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი იყენებდა საჯარიმო სანქციებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა.

სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია შემდეგი გარემოების არსებობა: მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართოს სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით, თუ წარმოიშობა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი.²¹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საქმიანობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების მხრივ

¹⁹ 6,242.6=2498,9+3,743.7 ათასი ლარი.

²⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

²¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 19 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“, მუხლი 3, პუნქტი 4, „ბ“ ქვეპუნქტი; მუხლი 4, პუნქტი 1.

გამოირჩევა მნიშვნელოვანი ხარვეზებით. მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებდა გარემოებას, რომ საჯარიმო სანქციების გავრცელება მნიშვნელოვნად განაპირობებს მიწოდების ვადების დარღვევის პრევენციას, ხელს უწყობს მიმწოდებლების თანაბარ პირობებში ჩაყენებას და წარმოადგენს ბიუჯეტის დამატებით შემოსავალს. კერძოდ, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მიმწოდებლებზე ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის დარიცხულმა და მიუღებელმა ჯარიმებმა სულ 806,9 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს არ მიუღია 417.0 ათასი ლარი. (იხილეთ დანართი №2)

საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების ხარვეზი განაპირობა შემდეგმა სუბიექტურმა გარემოებებმა:

- 1) მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების დოკუმენტს ადგენდნენ და სრულ ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ ისე, რომ მიმწოდებლებს საჯარიმო თანხები გადახდილი არ ჰქონდათ. ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მიმწოდებლების უმეტესობამ საჯარიმო თანხა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არ გადაიხადა. კერძოდ, 2020 წელს 35 მიმწოდებელს დაერიცხა სულ 108.0 ათასი ლარის ჯარიმა, საიდანაც თანხა – 4.2 ათასი ლარი გადაიხადა მხოლოდ სამმა სუბიექტმა; 2021 წელს 289.0 ათასი ლარით დაჯარიმდა 55 მიმწოდებელი. თანხა – 2.9 ათასი ლარი გადაიხადა მხოლოდ 10 სუბიექტმა;
- 2) გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა დადგენილ ვადაში გადაუხდელი პირგასამტეხლოს თანხა მიმწოდებლისათვის დაეკავებინა შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან და გაექვითა ურთიერთმოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებლები, როგორც წესი, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ჯარიმებს არ იხდიდნენ, მერია თანხის წინასწარი დაკავების მეთოდს არ იყენებდა;
- 3) მერია არ ატარებდა ქმედით ღონისძიებებს დავალიანების მქონე მიმწოდებლების მიმართ. საჯარიმო თანხების მისაღებად მუნიციპალიტეტი იყენებდა მხოლოდ წერილობით მიმართვას, რაც ვერ უზრუნველყოფდა სათანადო შედეგის მიღებას. კერძოდ, 2020-2021 წლებში დარიცხული 397.0 ათასი ლარიდან მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო მხოლოდ 7.1 ათასი ლარის ამოღება რაც მთლიანი გადასახდელი თანხის 0.8%-ია. მერიამ სასამართლო დავა აღნიშნულ საკითხზე აწარმოა მხოლოდ 5 მიმწოდებლის მიმართ, რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრათ 4.9 ათასი ლარის გადახდა.
- 4) ჯარიმის გადაუხდელობის ანუ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო მიემართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების შავ სიაში დასარეგისტრირებლად. მერიას აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია. მიმწოდებლების მიმართ სათანადო ზომების გაუტარებლობის გამო მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა სახელმწიფო შესყიდვებთან შეუსაბამო პრაქტიკა. კერძოდ, საწარმოები არ ასრულებდნენ ხელშეკრულების პირობებს, მაგრამ არ

ემუქრებოდათ შავ სიაში დარეგისტრირების რისკი. შესაბამისად, მიმწოდებლებს ეძლეოდათ საშუალება, რომ მონაწილეობა მიეღოთ და გაემარჯვათ სხვა ტენდერებშიც ისე, რომ შეუსრულებელი ჰქონდათ წინა შესყიდვების ვალდებულებები. მაგალითად, შპს „შარა-გზამშენი პირველმა“ 2020-2021 წლებში გაფორმებული 9 ხელშეკრულების ფარგლებში დაარღვია შესყიდვის ობიექტების მიწოდების ვადები და დაეკისრა ჯამში 204.4 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია. შპს-მ ჯარიმები არ გადაიხადა. მიუხედავად ამისა, მერიას არ უმსჯელია მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ. 2020-2021 წლებში საწარმოსთან გააფორმა 17 ხელშეკრულება და სრულად აუნაზღაურა სამუშაოების ღირებულება 7,263.3 ათასი ლარის ოდენობით.²²

დასკვნა

ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირება მუნიციპალიტეტისათვის სისტემური ხარვეზია. აღნიშნული დარღვევა დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ წინა აუდიტის ანგარიშშიც,²³ თუმცა მუნიციპალიტეტს სათანადო რეაგირება არ მოუხდენია. შესაბამისად, პასუხისმგებელი პირები მოქმედებდნენ მუნიციპალიტეტის ინტერესების საზიანოდ და დაუშვეს 806.9 ათასი ლარის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მიუღებლობა. არსებობს რისკი, რომ გადაწყვეტილებები საჯარიმო თანხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით მიღებულია პირადი ინტერესების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია №3

მერიამ:

შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები;

არ დაუშვას არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში;

შეისწავლოს/გამოავლინოს ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საჯარიმო თანხების ამოღების სისტემურ პრობლემაზე.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების დარღვევის პრევენციას, მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებასა და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს.

2.2.2.2 გეგმა-გრაფიკების მექანიზმის გამოუყენებლობა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²⁴ ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის/რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სამუშაოების მიწოდებას

²² NAT190001965; NAT190023337; NAT2000035529; NAT200003551; NAT200003696; NAT200004858; NAT200012647; NAT200013629; NAT200006805; NAT200013077; NAT210002061; NAT210002059; NAT210002701; NAT210009854; NAT210009852; NAT210010036; NAT210014471.

²³ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს ჩატარებული „ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი“.

²⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.²⁵ გეგმა-გრაფიკის შედგენის მიზანია, შემსყიდველმა ადრეულ პერიოდში გამოავლინოს სამუშაოების შეფერხების ფაქტორები და ჯარიმის გავრცელებით ზემოქმედება მოახდინოს მიმწოდებელზე, სამუშაოების დროულად დასასრულებლად.

ფაქტობრივი გარემოება: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები ზოგ შემთხვევაში დარღვეულია. კერძოდ, 22 ხელშეკრულების შემთხვევაში, საერთო ღირებულებით 10,055.3 ათასი ლარი, მიმწოდებლებმა სამუშაოები დაგეგმილ ვადებში ვერ დაასრულეს.

მიწოდების საბოლოო ვადების დარღვევამდე მიმწოდებლები უმეტეს შემთხვევაში არ იცავდნენ სამუშაოების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ მოთხოვნებსაც. მიუხედავად ამისა, მერია სამუშაოების მიმდინარეობას არ აკონტროლებდა და არ იყენებდა გეგმა-გრაფიკის დაცულობის მექანიზმს, კერძოდ:

- 1) 7 ხელშეკრულების შემთხვევაში მერიამ მიმწოდებლები სამუშაოების გეგმა-გრაფიკების დარღვევისათვის არ დააჯარიმა, რაც პრევენციულად ხელს შეუწყობდა სამუშაოების განსაზღვრულ ვადებში დასრულებას. შედეგად, 2020-2021 წლებში მერიამ მიმწოდებლებს არ დააკისრა 432.4 ათასი ლარის ოდენობის საჯარიმო სანქცია.²⁶
- 2) 7 ხელშეკრულებისათვის მუნიციპალიტეტმა გაზარდა სამუშაოების მიწოდების ვადები,²⁷ მაგრამ შესაბამისად არ დააკორექტირა სამუშაოების გეგმა-გრაფიკების თარიღები. აგრეთვე, აგრეთვე, 8 შემთხვევაში,²⁸ გეგმა-გრაფიკი შედგენილია ისეთი ფორმით, რაც არ იძლევა სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლის საშუალებას. შესაბამისად, 15 ხელშეკრულებისათვის მუნიციპალიტეტმა დაკარგა მიწოდების ვადების დარღვევის პრევენციის(დაჯარიმების) მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა.

დასკვნა

სამუშაოების მიწოდების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული პირობების მოთხოვნა მუნიციპალიტეტისათვის ატარებდა ფორმალურ ხასიათს და არ უზრუნველყოფდა მერიის ინტერესების სათანადო დაცულობას სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში. ამგვარმა მიდგომამ გავლენა მოახდინა სამუშაოების დროულად დასრულებაზე და დაგვიანდა 10,055,3 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტის მიწოდება. მიუხედავად ამისა, გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის მუნიციპალიტეტს არ დაუჯარიმებია არცერთი მიმწოდებელი და მუნიციპალურ ბიუჯეტში არ მიმართულა შესაბამისი ფინანსური რესურსი.

რეკომენდაცია №4

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამუშაოების მონიტორინგის წესი. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს გეგმა-გრაფიკით გაწერილი სამუშაოების მოცულობის დადასტურების პრინციპი გეგმა-გრაფიკის ყოველი კონკრეტული თარიღისათვის, ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. გეგმა-გრაფიკებით

²⁵ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების სხვადასხვა პროცენტული ოდენობით.

²⁶ NAT190017812: შპს „ჯორჯიან სტოუნი“ - 299.5 ათასი ლარი; NAT190001965, NAT190014940, NAT200012647 და NAT210002059: შპს „მარა-გზამშენი პირველი“ - 130.5 ათასი ლარი; NAT200006852: შპს „ბერმუხა“ - 2.0 ათასი ლარი; NAT210002933: შპს „მშენებელი 2017“ - 0.4 ათასი ლარი.

²⁷ NAT200013077; NAT200002516; NAT200006805; NAT200006807; NAT200006806; NAT200013254; NAT200013255.

²⁸ NAT200000416; NAT190023844; NAT200009926; NAT200012485; NAT200012488; NAT200003551; NAT210002035; NAT210004625.

დადგენილი პირობების დაუცველობის შემთხვევაში მერიამ გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, სამუშაოების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში დასრულებასა და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

2.2.3 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²⁹ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.³⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2021 წლებში ხობის მუნიციპალიტეტმა 37 ხელშეკრულების საფუძველზე შეისყიდა 125 ინფრასტრუქტურული ობიექტის 559.2 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.³¹

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროექტებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა. გამოვლინდა, რომ შესყიდული დოკუმენტაციის ნაწილი შეიცავდა ისეთ ხარვეზებს, რომლებიც პროექტის ავტორს მარტივად უნდა განესაზღვრა დოკუმენტაციის შედგენის ეტაპზე ან მუნიციპალიტეტს აღმოეჩინა მიღება-ჩაბარების დროს. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხელშეკრულებებში ცვლილებები შედიოდა სისტემატურად.³² კერძოდ, პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში არსებული ხარვეზების გამო, იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში იწვევდა როგორც სახელშეკრულებო თანხების ცვლილებას,³³ ასევე სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას.³⁴ მაგალითად:

1) 2021 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ადმინისტრაციული შენობის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 193.0 ათასი ლარი.³⁵ სამუშაოების მიწოდების ვადა განისაზღვრა 3 თვით. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა 6-ჯერ. კორექტირებების საფუძველია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში სამუშაოების/მასალების სახეობისა და მოცულობის ცვლილებები.³⁶ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის პარალელურად იზრდებოდა მიწოდების ვადები. შედეგად, ხელშეკრულების მიწოდების ვადა გაზრდილია 10 თვით.

²⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7.

³⁰ NAT200006533, NAT200004277, NAT200015768, NAT210003336 და სხვ.

³¹ მათ შორის: 2019 წელს 17 ხელშეკრულება, თანხით - 264.6 ათასი ლარი; 2020 წელს შეძენილია 15 ხელშეკრულება, თანხით - 249.4 ათასი ლარი; 2021 წელს შეძენილია 5 ხელშეკრულება, თანხით - 45.2 ათასი ლარი.

³² 63 ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, აქედან, ორი და მეტი - 19-ში.

³³ 2 ხელშეკრულების ღირებულება გაზრდილია, ჯამში - 58.1 ათასი ლარით (NAT200013255; NAT210002032).

³⁴ მიწოდების ვადები გაზრდილია 38 ხელშეკრულებაში.

³⁵ NAT210002032.

³⁶ მაგალითად: სამშენებლო ბაზარზე 0,7 მმ ფერადი თუნუქის ვერ მოძიების გამო, მიმწოდებელმა ითხოვა თანხმობა წყალსაწრეტი მილების და შუბლის მოწყობაზე 0,5 მმ ფერადი თუნუქით, საჭირო გახდა დემონტაჟის და სამღებრო სამუშაოების მოცულობების დამატება, ლესვის საშუალო სისქე გაიზარდა 8 სმ-მდე, გარე ხის კარების ნაცვლად მოეწყო ლითონის კარის ბლოკი, გაიზარდა ბრტყელი გადახურვის მოცულობა.

2021 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა სოფელ გიმოზგონჯილში სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით – 113.9 ათასი ლარი.³⁷ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, რომელმაც წარმოადგინა 90.0 ათასი ლარის შეთავაზება. შერჩევა-შეფასების ეტაპზე დადგინდა, რომ ატვირთული სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს, კერძოდ, ხარჯთაღრიცხვაში ლითონის მილი მითითებული იყო განზომილების გარეშე. აღნიშნული ხარვეზი აღმოაჩინა პრეტენდენტმა. შერჩევა-შეფასების ეტაპზე მუნიციპალიტეტმა ტენდერი შეწყვიტა. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად ტენდერი ხელახლა გამოცხადდა,³⁸ სადაც მონაწილეობა მიიღო იმავე პრეტენდენტმა. საწარმომ ამჯერად დააფიქსირა 97.8 ათასი ლარის წინადადება, რაც 7.8 ათასი ლარით აღემატება წინა ტენდერში მითითებულ ფასს. მიმწოდებლის მიერ ხარვეზებით შედგენილმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციამ გამოიწვია ტენდერის ხელახლა გამოცხადება და შესყიდვის ღირებულების გაზრდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. მის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე და აუარესებდა მერიის პირობებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

რეკომენდაცია №5

მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას. აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

2.3 სახელმწიფო შესყიდვების მართვა

2.3.1 პრეტენდენტების დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.³⁹

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისია მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში მსჯელობს, რამდენად შეესაბამება პრეტენდენტების მიერ სისტემაში განთავსებული დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო მოთხოვნებს.⁴⁰ ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, მათ შორის, უნდა განიმარტოს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის მიზეზი და

³⁷ NAT210002057.

³⁸ NAT210004625, მონაწილეობდა ოთხი პრეტენდენტი.

³⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

⁴⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 და 27-ე მუხლები.

საფუძველი იმ კონკრეტულ გარემოებებსა და არგუმენტებზე მითითებით, რომლებმაც განაპირობა ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის აუცილებლობა.⁴¹

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წელს მუნიციპალიტეტმა 2 ხელშეკრულების ფარგლებში⁴² დააფინანსა სოფლების გზების ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. ორივე შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებლად მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის პროცესი წარმართა შეზღუდული კონკურენციის გარემოში. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სავარაუდოდ 321.6 ათასი ლარი დახარჯა არაეკონომიურად, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

1) 2019 წლის 14 იანვარს მუნიციპალიტეტმა ტენდერი⁴³ გამოაცხადა ახალი ხიზლისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის ცემენტო-ბეტონით საფარით მოწყობის სამუშაოებზე. სავარაუდო სატენდერო ღირებულება შეადგენდა 1,590.8 ათას ლარს. დოკუმენტაციის მიხედვით მიმწოდებელს უნდა ჰქონოდა ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის 5,726.8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების გამოცდილება. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ანალოგიურ სამუშაოებად განიხილებოდა „გზების მოწყობა/რეაბილიტაცია“. შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა – შპს „შარა-გზამშენი პირველმა“ და დააფიქსირა 1,272.6 ათასი ლარის შეთავაზება. საწარმომ გამოცდილების სახით წარმოადგინა გზების მოწყობა/რეაბილიტაციაზე შესრულებული 11,439.6 ათასი ლარის სამუშაოები, მათ შორის – ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესრულებული 2,160.8 ათასი ლარის ღირებულების ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაო.⁴⁴ სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და არასაკმარისად ჩათვალა გამოცდილება. კერძოდ, კომისიამ სრული 5,726.8 ათასი ლარის გამოცდილება მოითხოვა მხოლოდ გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოებზე, რასაც სატენდერო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებდა.

პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება (ოქმი), რომლითაც ანალოგიური სამუშაოების გამოცდილებად მოთხოვნილი იყო მხოლოდ გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა, გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში. საბჭომ სრულად დააკმაყოფილა საჩივარი და კომისიას მიუთითა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და შპს „შარა-გზამშენი პირველის“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასების პროცესში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვის შესახებ.⁴⁵

მუნიციპალიტეტმა დავების განხილვის საბჭოს მითითების შესრულების ნაცვლად ტენდერი შეწყვიტა და ახალი ტენდერი გამოაცხადა შეცვლილი

⁴¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 12, პუნქტი 4.

⁴² 2019 წლის ხელშეკრულებები: №56 და №64.

⁴³ NAT190000583.

⁴⁴ NAT180002332 - თანხით 1,367.6 ათასი ლარი; NAT10003385 - თანხით 554.0 ათასი ლარი; NAT10009890 - თანხით 151.0 ათასი ლარი; NAT10005534 - თანხით 88.2 ათასი ლარი; დანარჩენი გამოცდილება შეადგენდა გზების ასფალტო-ბეტონით მოწყობის სამუშაოებს.

⁴⁵ Decision_DIS190000583_01(NAT).

პირობებით. კერძოდ, ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილებად მოითხოვა მხოლოდ გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები. აღნიშნულ ტენდერში შპს „შარა-გზამშენი პირველს“ მონაწილეობა არ მიუღია. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა დააფიქსირა 1,492.3 ათასი ლარის შემოთავაზება,⁴⁶ რაც 219.7 ათასი ლარით აღემატება შეწყვეტილ ტენდერზე შპს „შარა-გზამშენი პირველის“ ფასს.

- სატენდერო კომისიამ ანალოგიურად იმოქმედა ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის ცემენტო-ბეტონით საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვისას. კერძოდ, ტენდერი გამოცხადდა 2019 წლის 15 იანვარს, სავარაუდო ღირებულებით – 1,532.0 ათასი ლარი.⁴⁷ სატენდერო პირობები გამოცდილების ნაწილში წინა ტენდერის იდენტური იყო და მონაწილეობა მიიღო იმავე პრეტენდენტმა – შპს „შარა-გზამშენი პირველმა“. სატენდერო კომისიამ ამჯერადაც დაახარვეზა პრეტენდენტის გამოცდილება და მოითხოვა სატენდერო დოკუმენტაციისაგან განსხვავებული გამოცდილება. გადაწყვეტილება პრეტენდენტმა ასევე გაასაჩივრა დავების საბჭოში, რომელმაც საჩივარი დააკმაყოფილა.⁴⁸ მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა იმავე მოტივით შეწყვიტა ტენდერი. შეცვლილი პირობებით გამოცხადებულ განმეორებით ტენდერზე გამარჯვებულმა პრეტენდენტმა დააფიქსირა 1,425.0 ათასი ლარი,⁴⁹ რაც 101.9 ათასი ლარით აღემატება შეწყვეტილ ტენდერზე შპს „შარა-გზამშენი პირველის“ მიერ შეთავაზებულ ფასს.⁵⁰

ორივე ტენდერის შეწყვეტის მიზეზად კომისიამ ოქმში მიუთითა, რომ ცემენტო-ბეტონისა და ასფალტო-ბეტონის სამუშაოების სპეციფიკა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ანალოგიად ვერ მიიღებდა. კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ ველარ მოახდენდა სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილებას, ხოლო აღნიშნული სახით მოთხოვნილი გამოცდილება გახდებოდა დაუსრულებელი დავის საგანი.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა რა აუცილებლობით იყო გამოწვეული სატენდერო პირობისაგან განსხვავებული გამოცდილების მოთხოვნა. სატენდერო კომისიამ არ გაითვალისწინა გარემოება, რომ შპს „შარა-გზამშენი პირველს“ მუნიციპალიტეტში შესრულებული ჰქონდა ანალოგიური სახის და მოცულობის სამუშაოები და პასუხისმგებელი პირების განმარტებით შესრულებული სამუშაოს ხარისხზე პრეტენზია არ ჰქონიათ. მუნიციპალიტეტმა ასევე ვერ განმარტა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მოდავე მხარეები, რადგანაც ტენდერებში მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა.

სატენდერო კომისიის მიერ გამოყენებული მოტივი ცემენტო-ბეტონისა და ასფალტო-ბეტონის სამუშაოების სპეციფიკის განსხვავების შესახებ ვერ იქნება გათვალისწინებული შემდეგი გარემოების გამოც: შეწყვეტილი ტენდერებიდან დაახლოებით 1 თვით ადრე – 2018 წლის 7 დეკემბერს კომისიამ ტენდერი

⁴⁶ NAT190004376. გამარჯვებული: შპს „პრაიმ ბეტონი“.

⁴⁷ NAT190000663.

⁴⁸ Decision_DIS190000583_01(NAT).

⁴⁹ NAT190004382. გამარჯვებული: შპს „მომდემი“.

⁵⁰ 1,323.1 ათასი ლარი.

გამოაცხადა სოფელ გაღმა საჯიჯაოში გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით 93.6 ათასი ლარი.⁵¹ სატენდერო დოკუმენტაცია ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების ნაწილში შეწყვეტილი ტენდერების დოკუმენტაციის იდენტურია. ამ შემთხვევაშიც პრეტენდენტის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების გამოცდილება ნაკლები იყო კომისიის მიერ მოთხოვნილ საერთო გამოცდილებაზე. მიუხედავად ამისა, კომისიას პრეტენდენტის დისკვალიფიკაციასა და დოკუმენტაციის ხარვეზებზე არ უმსჯელია.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტის მიერ წინა პერიოდში ტენდერების გამოცხადების პრაქტიკაც გზების ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოებზე. გამოვლინდა, რომ გამოცდილების მოთხოვნისას კომისია ძირითადად მოქმედებდა ერთგვაროვნად და არ უთითებდა მხოლოდ ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს. კერძოდ, 2018 წელს გამოცხადებულ ტენდერებში⁵² კომისია კონკრეტულად ბეტონის სამუშაოებს მოითხოვდა საერთო გამოცდილების მხოლოდ 17%-მდე მოცულობით. თუკი კომისია 2019 წელს გამოცხადებული ტენდერების დოკუმენტაციის შედგენის ან/და შერჩევა-შეფასების პროცესში იმოქმედებდა იმავე მიდგომით, ორივე ტენდერში შპს „შარა-გზამშენი პირველი“ გაიმარჯვებდა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ 2019 წლის ივლისიდან შეცვალა მიდგომა გამოცდილების მოთხოვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, გზის სამუშაოებზე (ცემენტო-ბეტონი და ასფალტო-ბეტონი), ანალოგიური სამუშაოების სახით მოთხოვნილია ორივე სახის გამოცდილება: „ცემენტო-ბეტონის ან/და ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა/რეაბილიტაცია“.⁵³ გამომდინარე აქედან, 2018 წლიდან ჩატარებული ტენდერებისათვის ცალსახად ცემენტო-ბეტონის სამუშაოების გამოცდილება კომისიამ მოითხოვა მხოლოდ შეწყვეტილი ტენდერების შემთხვევაში.

2019 წელს სოფლის გზების ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვისას⁵⁴ სატენდერო კომისიამ დაუსაბუთებლად მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და შეწყვიტა ტენდერები. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა ჯამში 321.6 ათასი ლარის⁵⁵ ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. კომისიამ გადაწყვეტილებები მიიღო სუბიექტურად, მის მიერვე დადგენილი პირობების შეუსაბამოდ და იმოქმედა არსებული პრაქტიკიდან განსხვავებულად, რის გამოც მუნიციპალიტეტის ინტერესებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაღება.

დასკვნა

2.4 მუნიციპალური სერვისების მიწოდება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის

⁵¹ NAT180017928. ტენდერში გაიმარჯვა შპს „შარა-გზამშენი პირველი“, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა 2,148.1 ათასი ლარის გამოცდილება, მათ შორის 239.2 ათასი ლარის - გზის ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობაზე.

⁵² NAT180002286; NAT180007210; NAT180002332.

⁵³ NAT190012565; NAT200006683; NAT200006801; NAT200006805.

⁵⁴ NAT190000583; NAT190000663.

⁵⁵ 321.6=219.7+101.9

2.4.1 მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

სუბიექტების საშუალებით.⁵⁶ კანონმდებლობის მიხედვით, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.⁵⁷ კანონმდებლობის მიხედვით, მომხმარებლისათვის წყლით მომარაგება განეკუთვნება ისეთ საქმიანობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას - ლიცენზიას.⁵⁸ წყლის გადასახადს ორგანიზაცია იღებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფების ფარგლებში.⁵⁹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის 58 დასახლებული პუნქტიდან,⁶⁰ ქ. ხობისა და 31 სოფლის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. დანარჩენი 26 სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგება ფუნქციურად ევალება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“.⁶¹

შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“ არ აქვს ამ საქმიანობის შესაბამისი ლიცენზია. ამ მიზნით მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის. შპს-ს არ გააჩნია მიკრობიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევებისათვის საჭირო ლაბორატორია, საფილტრი მოწყობილობები და სხვა საჭირო ტექნიკა. მიუხედავად სოფლის მოსახლეობის გამრიცხველიანებისა, შპს წყლის გადასახადს არ იღებს.

მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული პრიორიტეტების დოკუმენტები ითვალისწინებს სასმელი წყლის სისტემების დაფინანსებას.⁶² შესაბამისად, მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემების მოგვარება მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, 2020-2021 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით სულ გაწეულია მხოლოდ 449.6 ათასი ლარის ხარჯი.⁶³ აქედან, თანხის ნაწილი – 37.3 ათასი ლარი დაიხარჯა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის მიერ შერჩეულ პროექტებზე.⁶⁴ შედეგად, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს სასმელ წყალზე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. კერძოდ, შპს-ს

⁵⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

⁵⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

⁵⁸ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 87.

⁵⁹ საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, მუხლი 146, პუნქტი 1.

⁶⁰ ქ. ხობი და 57 სოფელი.

⁶¹ წესდების მიხედვით, საწარმოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მოსახლეობისათვის ხარისხიანი წყლის მიწოდება, გახარჯული სასმელი წყლის გადასახადის ამოღება მომხმარებლიდან, სოფლებში არსებული სასმელი წყლის მაგისტრალზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რეზერვუარების რეცხვა-დასუფთავება, დეზინფექცია და სხვ.

⁶² მერის მიერ 2019 წლის 29 დეკემბერს მიღებული „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლისა და 2021-2023 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების“ და 2020 წლის 20 დეკემბერს მიღებული „ხობის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების“ დოკუმენტები.

⁶³ მათ შორის: შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ სუბსიდიის სახით დაფინანსდა 2020 წელს - 122.8 ათასი ლარით, 2021 წელს კი - 168.8 ათასი ლარით.

⁶⁴ თანხები გაიხარჯა ხეობის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლარჩვაში, წყლის სათაო ნაგებობის და წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე.

ფუნქციურად ევალება 26 სოფლის წყალმომარაგება. მიუხედავად ამისა, საწარმო ემსახურება და წყალს აწვდის მხოლოდ 12 სოფელს.⁶⁵ შესაბამისად, 14 სოფელში მცხოვრებ 2 170 ოჯახს წყალი ცენტრალიზებულად არ მიეწოდება და სარგებლობს ჭებითა და წყაროებით, რომელთა უმრავლესობა ზაფხულში განიცდის წყლის დეფიციტს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს სასმელი წყლის სრულ ლაბორატორიულ კვლევას. სათავე ნაგებობები/რეზერვუარები, საიდანაც მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი წყლის გაწმენდის საშუალებებით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების მნიშვნელოვანი პრობლემები: სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი, მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება. გამრიცხველიანების მიუხედავად, არ ხდება წყლის გადასახადის ადმინისტრირება, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები წყალმომარაგებისათვის არაპროდუქტიულად იხარჯება. მუნიციპალიტეტმა არსებული თავისუფალი ფულადი რესურსი არ მიმართა აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად.

რეკომენდაცია №6

მერამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.4.2 სამშენებლო მასალების არაეფექტიანი განკარგვა

კრიტერიუმი: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების მიზნით მუნიციპალიტეტი შეისყიდის საჭონელს, მომსახურებასა და სამუშაოებს. მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁶⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებისათვის შეიძინა სამშენებლო მასალები,⁶⁷ ღირებულებით – 180.9 ათასი ლარი. მასალები გადაეცა 60 მოსახლეს, რომლებსაც თავისი ძალებით უნდა აღმოეფხვრათ საცხოვრებელ სახლებზე არსებული დაზიანებები.

მუნიციპალიტეტმა სამშენებლო მასალების განკარგვა გადაწყვიტა ისე, რომ არ გაითვალისწინა მოსახლეობის ცოდნა-გამოცდილება და ფინანსური შესაძლებლობა მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით. შედეგად, გადაცემული სამშენებლო მასალის ნახევარზე მეტი გამოუყენებელია. კერძოდ,

⁶⁵ შპს წყალს არ აწვდის შემდეგ სოფლებს: ხამისჭური, ძველი ხიბულა, გაღმა საჯიჯაო, წინაგორა, ოხვამერაკი, ნოცხონი, ლარჩვა, საკუკაო, საქირიო, ბულიწყუ, საკვიკინიო, ზენი, ჯაფიშქარტი, ზუბი.

⁶⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1 „დ“, ქვეპუნქტი.

⁶⁷ NAT200009646 და NAT210013274. 7 377 ცალი - პროფნასტილი, 4 700 ცალი - წვრილი სამშენებლო ბლოკი, 33.0 კვ.მ - ხის მასალა და 160 კვ.მ - სახურავის ტალღისებური შიფერი.

დასკვნა

123.8 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა დასაწყობებულია 39 მოსახლესთან.⁶⁸

მუნიციპალიტეტმა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად ვერ შეარჩია სამუშაოების შესრულების სათანადო ფორმა. შედეგად, 123.8 ათასი ლარი დახარჯულია არაეფექტიანად და სრულად არ არის მიღწეული პროგრამით გათვალისწინებული მიზნები.

2.5 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.5.1 საკრებულოს წევრებზე დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად,⁶⁹ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოს კომისიის სხდომების, საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.⁷⁰

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁷¹ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) 2020-2021 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 160.7 ათასი ლარი.⁷² საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ყოველთვიურად არაუმეტეს – 350 ლარი.⁷³

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამდენად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი

⁶⁸ 4 727 ცალი პროფნასტილი, თანხით -101.0 ათასი ლარი; 3 400 ცალი წვრილი სამშენებლო ბლოკი, თანხით - 6.5 ათასი ლარი; 19.3 კვ.მ - ხის მასალა, თანხით - 14.4 ათასი ლარი და 160 კვ.მ სახურავის ტალღისებური შიფერი, თანხით - 1.9 ათასი ლარი.

⁶⁹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁷⁰ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №44 დადგენილება „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

⁷¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 6, პუნქტი 7.

⁷² 2020 წელს - 78.0 ათასი ლარი; 2021 წელს - 82,7 ათასი ლარი.

⁷³ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №44 დადგენილება „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

დასკვნა

ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, საკრებულოს წევრებზე ძირითადად ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 160.7 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.5.2 ავტოპარკის მართვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,⁷⁴ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 6 სამორიგეო ავტომანქანა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს „აგაი“ სისტემის⁷⁵ გამოყენებით, ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს.⁷⁶

მოხელის შვებულების დროს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება.⁷⁷

ფაქტობრივი გარემოება: საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი „ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. მიუხედავად ამისა, მერიამ ვერ წარმოადგინა რეკომენდაციის შესაბამისად მიღებული სამართლებრივი აქტი.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 6 და კერძო საკუთრებაში არსებული 45 ავტომობილით. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა დახარჯა 295.1 ათასი ლარის ღირებულების საწვავი.⁷⁸

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაცია, მათ შორის, „აგაი“ სისტემის მონაცემები. გამოიკვეთა, რომ რიც შემთხვევებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ჩასხმულია ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. კერძოდ, 2020-2021 წლებში გამოვლინდა 3 სატრანსპორტო საშუალებაზე ავტომობილის

⁷⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

⁷⁵ აგაი სისტემა - სისტემა/საშუალება, რომლის გამოყენებით ავტორიზებული ავტომობილის ავზზე მონტაჟდება სპეციალური ჩიპი (მეხსიერების ბარათი), რომლის საშუალებითაც ხდება ავტომობილის იდენტიფიცირება ავტოგასამართ სადგურზე.

⁷⁶ შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია „აგაი“ სისტემის გარეშე საწვავის შესყიდვისას შესაბამისი მეთოდების გამოყენების თაობაზე“.

⁷⁷ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 55, პუნქტი 2.

⁷⁸ 2020 წელს - 120.4 ათასი ლარის საწვავი, 2021 წელს - 174.7 ათასი ლარის საწვავი.

ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 9 შემთხვევა (იხ. დანართი №3).⁷⁹ გარდა ამისა, გამოვლინდა მივლინების ან/და სხვა სახის დასაბუთების გარეშე ხობის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მდებარე ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავით გამართვის 369 ფაქტი.⁸⁰ ამ შემთხვევებში დახარჯულია 28.2 ათასი ლარის ღირებულების 13.2 ათასი ლიტრი საწვავი (იხ. დანართი №4). შვებულების პერიოდში მუნიციპალიტეტის თანამშრომლები არ არიან უფლებამოსილნი ისარგებლონ მათთვის გამოყოფილი საწვავით. მიუხედავად ამისა, 2020-2021 წლებში დაფიქსირდა შვებულების პერიოდში ავტომობილების საწვავით გამართვის 46 შემთხვევა.⁸¹ ჯამში გახარჯულია 3.2 ათასი ლარის ღირებულების 1.2 ათასი ლიტრი საწვავი (იხ. დანართი №5).

დასკვნა

დოკუმენტების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებში მოხელებმა საწვავი ჩაასხეს ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით; საწვავი გამოყენებულია ხობის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მივლინების ან/და სხვა სახის დასაბუთების გარეშე, ასევე შვებულების პერიოდში. აღნიშნული წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი მიზნებით მოხმარების რისკებს.

რეკომენდაცია №7

საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ, რომელიც მიზანშეწონილია დაფუძნებული იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პრინციპებზე. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას.

მერიამ დანერგოს საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს დამონტაჟებული საწვავის „ჩიპების“ მთლიანობის შემოწმება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას; ასევე, სამორიგო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლოა, განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს საწვავის რაციონალურად და მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენებას.

2.6 მუნიციპალური ქონების განკარგვა

კრიტერიუმი: თვითმმართველი ერთეული ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებულია, შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, უზრუნველყოს ქონების მონიტორინგი და დაიცვას მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის კანონიერი ინტერესები.⁸² ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, თვითმმართველი ერთეული ვალდებულია უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი

⁷⁹ დათვლილია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ერთჯერადად ჩასხმული საწვავის რაოდენობა ავზის მოცულობას 5 ლიტრზე მეტით აჭარბებს. ამ ავტომანქანებში ჯამურად სულ ჩასხმულია 1.8 ათასი ლარის ღირებულების - 0.8 ათასი ლიტრი საწვავი.

⁸⁰ 2020 წელს - 185, 2021 წელს - 184 შემთხვევა. მოიცავს საწვავის ჩასხმებს სამეგრელოს რეგიონსა და ქ. ფოთის საზღვრებს გარეთ.

⁸¹ 2020 წელს - 25, 2021 წელს - 21 შემთხვევა.

⁸² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 109.

საფასურის ჩარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა.⁸³

მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყის საფასური განისაზღვრება საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით. თავის მხრივ, საპრივატიზებო საფასური დგინდება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.⁸⁴

ფაქტობრივი გარემოებები: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი ფლობდა 500-მდე დასახელების სხვადასხვა დანიშნულების უძრავ ქონებას. მერიამ ვერ უზრუნველყო საკუთრებაში არსებული აქტივების სათანადო განკარგვა. შედეგად, მუნიციპალური ქონება გამოყენებულია არაუფლებამოსილი პირების მიერ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სრულად არ არის მიღებული საიჯარო შემოსავლები, საიჯარო ქირის განსაზღვრისა და ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესში არსებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას, კერძოდ:

1) 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს სარგებლობის უფლებით გაცემული ჰქონდა 17 ობიექტი. 2020-2021 წლებში საიჯარო ქირის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 33.8 ათასი ლარი. მერია ვერ უზრუნველყოფდა იჯარით გაცემული ქონების სათანადო ადმინისტრირებას და არ აღრიცხავდა იჯარით გაცემული ობიექტებიდან მისაღებ შემოსავლებს; საიჯარო ქირის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, არ იყო გამოყვანილი გადაუხდელი საიჯარო ქირის ნაშთები - საიჯარო ქირის დავალიანებები; მოიჯარეებზე არ იყო დარიცხული და მოთხოვნილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. შედეგად, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, იჯარით გაცემული ქონებიდან მუნიციპალიტეტს არ მიუღია სულ 38.6 ათასი ლარის შემოსავალი.⁸⁵

2) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 18 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები. მაგალითად: სოფელი თორსაში 96 676 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა დამუშავებულია⁸⁶ ისე, რომ მოსარგებლესთან რაიმე ტიპის ხელშეკრულება ქონების გამოყენების უფლების გადაცემის შესახებ არ გაფორმებულა. უნებართვოდ დაკავებული მიწების საერთო ფართობი ჯამში 813 950 კვ.მ-ია, რომელთა სარგებლობის საფასურიც ბიუჯეტში ჩარიცხული არ არის (იხ. დანართი №6). პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ ჰქონდათ ინფორმაცია თვითნებურად დაკავებული ქონების შესახებ და აღნიშნული მათთვის ცნობილი გახდა აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით ადგილზე გასვლის შედეგად. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია ეკონომიკური განვითარებისა და ქონების

⁸³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლები 81 და 83.

⁸⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 36.

⁸⁵ მათ შორის: გადაუხდელი საიჯარო ქირა – 7.0 ათასი ლარი, ქირის დავალიანებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა დაურიცხავი საჯარიმო სანქცია (საურავი) – 31.6 ათასი ლარი.

⁸⁶ საკადასტრო კოდი: 45.06.23.248.

- მართვის სამსახური, სადაც დასაქმებულია 5 საჯარო მოსამსახურე და მათი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სწორედ აღნიშნული საკითხების მართვაა.⁸⁷
- 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა 2014-2016 წლებში გაფორმებული ოთხი გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება.⁸⁸ მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმებისას არ გაითვალისწინა საიჯარო ფასის პერიოდული გადასინჯვის უფლება. შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არ უმსჯელია იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვისა და საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, რითაც დაკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ორი ხელშეკრულება გაფორმებულია 2016 წელს. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო საიჯარო ფასი დაედგინა დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე. მერიამ შესაბამისი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.
- 2020 წლის ივნისში მუნიციპალიტეტმა ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარით გასცა 65 169 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა,⁸⁹ რომლის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 1.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ობიექტის განკარგვისას მუნიციპალიტეტი დაეყრდნო 2018 წლის აგვისტოში შემენილ აუდიტორულ შეფასებას.⁹⁰ მიუხედავად იმისა, რომ ქონების აუდიტორული შეფასებიდან აუქციონის⁹¹ გამოცხადებამდე გასული იყოს 18 თვეზე მეტი, მუნიციპალიტეტს მიწის საიჯარო ქირის კორექტირებაზე არ უმსჯელია. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ ქონება მოიჯარეზე გაცემულია არასაბაზრო ფასით. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებით: 2020 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა აღნიშნული მიწის მიმდებარედ 2 ნაკვეთის⁹² წლიური საიჯარო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება. ექსპერტის დასკვნით, ერთი კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ფასი მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2018 წელს დადგენილ ფასს.⁹³

დასკვნა

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაიცვა საკუთარი ინტერესები, კერძოდ: ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად და დროულად მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში; კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი სხვადასხვა არაუფლებამოსილი პირის მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით არამართლობითი სარგებლობის შემთხვევები; მუნიციპალიტეტი კარგავს იჯარის სახით დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია №8

მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების განკარგვის პროცესის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ გაატაროს

⁸⁷ საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №48 დადგენილებით დამტკიცებული „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულება“, მუხლი 3, „კ“ ქვეპუნქტი.

⁸⁸ საიჯარო ხელშეკრულებები: 2014 წელი - N244688600, უნომრო. 2016 წელი - N3; N5.

⁸⁹ საკადასტრო კოდი: 45.06.26.039.

⁹⁰ შპს „ლაზიკა აუდიტმა“ აღნიშნული ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება შეაფასა 1.5 ათას ლარად.

⁹¹ აუქციონის №93044, ლოტის №657809.

⁹² საკადასტრო კოდები: 45.06.23.251 და 45.06.23.265.

⁹³ აღემატებოდა ორჯერ.

ქმედითი ღონისძიებები გადაუხდელი საიჯარო ქირისა და დარიცხული საურავის ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზების მიზნით.

2.7 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.7.1 საბანკო მომსახურების შესყიდვის ნაკლოვანება

კრიტერიუმი: დეპოზიტებსა და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს.⁹⁴ ბიუჯეტის შესრულებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁹⁵ ნებისმიერი გარიგების დადებისას ხელმძღვანელობა უნდა ითვალისწინებდეს მუნიციპალიტეტის ინტერესებს, მიიღოს მაქსიმალური სარგებელი დეპოზიტზე განთავსებული მუნიციპალური სახსრებიდან.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი სარგებლობდა ერთ-ერთი საბანკო დაწესებულების მომსახურებით, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია 2014 წელს. ბანკი მომსახურებას უწევდა როგორც მუნიციპალიტეტს, ასევე მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს და საბანკო ანგარიშზე ფულადი რესურსების განთავსების სანაცვლოდ მუნიციპალიტეტს ურიცხავდა სარგებელს, წლიური 10%-ის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ქ. ხობში ფუნქციონირებს რამდენიმე საბანკო დაწესებულება, მუნიციპალიტეტს შემდგომ წლებში საბანკო მომსახურების საუკეთესო შეთავაზების გამოსავლენად ბაზრის კვლევა არ ჩატარებია.

აღსანიშნავია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მიმდებარე თვითმმართველ ერთეულში, აუდიტის ჯგუფის მიერ ანალოგიური საკითხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა ჩაატარა ბაზრის კვლევა და ხელშეკრულება გააფორმა სხვა საბანკო დაწესებულებასთან. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე დასარიცხი სარგებელი განისაზღვრა წლიური 14.1 %-ით.

დასკვნა

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს სადეპოზიტო ანგარიშზე გააჩნდა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი. მერია არ მოქმედებდა რაციონალურად, კერძოდ არ შეისწავლა საბანკო მომსახურების ბაზარი საუკეთესო შემოთავაზების გამოსავლენად, რაც მუნიციპალიტეტს მოუტანდა დამატებით ფინანსურ სარგებელს.

2.7.2 საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უზრუნველყოფს საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.⁹⁶

საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ინფორმაციის ნუსხას, რომელსაც უნდა მოიცავდეს პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.⁹⁷ საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.⁹⁸

მოქმედი კანონმდებლობით, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა

⁹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 მაისის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“, თავი IV.

⁹⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 83, პუნქტი 2.

⁹⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77.

⁹⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლები 78 და 87.

⁹⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 86.

მერი წარუდგენს საკრებულოს.⁹⁹ ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას.¹⁰⁰

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით¹⁰¹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საბიუჯეტო პროცესი გამოირჩევა შემდეგი ნაკლოვანებებით:

- 1) 2020-2021 წლების ბიუჯეტების პროექტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის არ გაუზიარებია საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. მერიამ მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მხოლოდ წერილობით მიმართა განაცხადების წარმოდგენის მოთხოვნით.
- 2) 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეადგინა ხარვეზებით და მასში სრულყოფილად არ ასახა კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ:

 - ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებული მაჩვენებლები;
 - ბ) მუნიციპალიტეტის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზი.
- 3) 2020-2021 წლების ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შესწორებული ვარიანტი მერმა საკრებულოს წარუდგინა ვადაგადაცილებით, 10 დეკემბრის შემდეგ. ასევე, კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევითაა მომზადებული 2020-2021 წლების ბიუჯეტების კვარტალური განწერა.
- 4) 2020-2021 წლებში აღმასრულებელმა ორგანოს წარმომადგენლობით ორგანოსთვის ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში არ წარუდგენია ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით.
- 5) 2020-2021 წლების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს წარუდგინა კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით. ანგარიშები შედგენილია ხარვეზებით და მასში სრულყოფილად ასახული არ არის კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ, წლიური ანგარიშები არ მოიცავს:

 - ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისათვის

⁹⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 78, პუნქტი 4.

¹⁰⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 82, პუნქტი 1.

¹⁰¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 85.

- პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, როდესაც ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;
- წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს.

დასკვნა

2020-2021 წლების საბიუჯეტო პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხარვეზებით და არ შეესაბამებოდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2.7.3 დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით,¹⁰² ამასთანავე მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.¹⁰³

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს დელეგირებული ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების ნაწილი.¹⁰⁴ აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით მუნიციპალიტეტმა მიიღო 1,245.8 ათასი ლარი.¹⁰⁵ გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით დამატებით დახარჯა 162.8 ათასი ლარი.¹⁰⁶ აღნიშნული თანხა ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით, რომლის დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ.

მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისთვის არ მიუმართავს. მუნიციპალიტეტის სამსახურებს არ უმსჯელიათ შეემცირებინათ ხარჯები და საქმიანობა განხორციელებინათ დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც დამატებითი ხარჯები გამოიწვია.

¹⁰² ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 17, პუნქტი 2.

¹⁰³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 79, პუნქტი 2.

¹⁰⁴ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის (ნაწილობრივ), საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის (ნაწილობრივ), ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ღონისძიებების უზრუნველყოფა.

¹⁰⁵ 2020 წელს - 524.6 ათასი ლარი, 2021 წელს - 721.2 ათასი ლარი.

¹⁰⁶ 2020 წელს - 63.6 ათასი ლარი, 2021 წელს - 99.2 ათასი ლარი. ტექნიკური ხარვეზის გამო, 2021 წელს მუნიციპალიტეტმა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების მიმართა საკუთარი შემოსავლები - 86.4 ათასი ლარის ოდენობით, როცა არ ჰქონდა ათვისებული მიღებული ტრანსფერი - 26.5 ათასი ლარი.

რეკომენდაცია №9

მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

2.7.4 ა(ა)იპ – სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.¹⁰⁷

2018 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნდა ა(ა)იპ – სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.¹⁰⁸ სუბიექტის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს სამეგრელოს რეგიონის იმიჯის ამაღლებას, ტურიზმის პოპულარიზაციას, რეგიონში უნიკალური ტურისტული პროდუქტების შემუშავებას და სხვ. მუნიციპალიტეტს, როგორც დამფუძნებელს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ა(ა)იპ-ის საქმიანობასა და მართვაში.¹⁰⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წელს მუნიციპალიტეტმა 22.5 ათასი ლარით დააფინანსა ა(ა)იპ – სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტი არ ატარებდა თავისთავად დაფუძნებული ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგს და არ ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. იურიდიული პირის მიერ მერიაში წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები ფორმალური ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს შედეგების მიმოხილვასა და ანალიზს. მათში ასახულია ფინანსური ინფორმაცია ორგანიზაციის გასული წლის საქმიანობების შესახებ, თუმცა შეფასებული არ არის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის/დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა და შეუსრულებლობის მიზეზები. მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას რა კონკრეტული შედეგები მიიღო ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად. ამდენად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 22.5 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა ვერ დასაბუთდება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. მერია არ ფლობს ინფორმაციას ორგანიზაციისათვის გადაცემული ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტების ჩართულობა მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია.

¹⁰⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტი 2.

¹⁰⁸ აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების ერთობლივი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. ს/კ 420429183.

¹⁰⁹ ა(ა)იპ – სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის წესდების 4.1 მუხლი.

2.7.5 საკონსულტაციო მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.¹¹⁰

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1% მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.¹¹¹ ამასთანავე, მიზანშეწონილი არ არის დამატებით საკონსულტაციო კომპანიის დაქირავება იმავე ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოქმედ მოხელეებს ევალებათ.

მუნიციპალიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად შეისყიდის საქონელს, მომსახურებასა და სამუშაოებს.¹¹² სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.¹¹³

ფაქტობრივი გარემოება: 2018 წელს მუნიციპალიტეტმა მემორანდუმში გააფორმა ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან. მუნიციპალიტეტმა, მემორანდუმის ფარგლებში, 2020-2021 წლებში ასოციაციას გადაუხადა 20.0 ათასი ლარი.¹¹⁴

აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია ასოციაციის მიერ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტისთვის გაწეული მომსახურების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, მემორანდუმის ფარგლებში:

- 1) ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა მონაწილეობა მიიღეს ასოციაციის მიერ ბიუჯეტების მიმართულებით ორგანიზებულ სწავლებებში;¹¹⁵
- 2) მუნიციპალიტეტს გაეწია დახმარება ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგების, მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების მართვის საკითხებში და სხვ;
- 3) მუნიციპალიტეტს გადაეცემოდა ყოველთვიური ჟურნალი საბიუჯეტო კუთხით საკანონმდებლო სიახლეების შესახებ.¹¹⁶

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული მემორანდუმის გაფორმება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქმიანობისას გამოიყენოს საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის შემთხვევაში დაგეგმოს მოხელეების გადამზადება. ამასთანავე, მოხელეებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგების საჭიროებისას - მომსახურება შეისყიდოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი გაწევრიანებულია ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციაში,

¹¹⁰ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებით დამტკიცებული „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“, მუხლი 18, ქვეპუნქტი 3.

¹¹¹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 101, პუნქტი 2.

¹¹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3. პუნქტი 1, „ქ“ და „ს“ ქვეპუნქტები.

¹¹³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

¹¹⁴ 2020 წელს - 10 ათასი ლარი. 2021 წელს - 10 ათასი ლარი.

¹¹⁵ სწავლებები ტარდებოდა ბიუჯეტების მიმართულებით, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად და მასში ჩართული იყვნენ მერიისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები.

¹¹⁶ საკანონმდებლო სიახლეები ქვეყნდება და ხელმისაწვდომია matsne.gov.ge-სა და სხვა ინტერნეტგვერდებზე.

დასკვნა**რეკომენდაცია №10**

რისთვისაც იხდის საწევრო გადასახადს.¹¹⁷ ასოციაციის ფუნქციები მუნიციპალიტეტების განვითარების კოორდინაცია და პრობლემათა იდენტიფიკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობების კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მოხელეთა სწავლების ორგანიზება, არსებული პრაქტიკული გამოცდილებისა და მიღწევათა განზოგადება და დანერგვა, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება, მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო მასალების მომზადება და გავრცელება, ადგილობრივი თვითმმართველობების და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და სხვ.¹¹⁸ ფუნქციათა მრავალფეროვნებისა და საწევრო შენატანების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ გამოიყენა თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობები.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს არ უნდა გაეწიათ ხარჯი მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილ საკონსულტაციო მომსახურებაზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 20.0 ათასი ლარი არარაციონალური ხარჯია.

მერია, საკრებულოსთან შეთანხმებით მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

2.7.6 დასუფთავების მოსაკრებლის არასათანადო ადმინისტრირება

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.¹¹⁹ მუნიციპალიტეტში საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.¹²⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა დასუფთავების მოსაკრებლის სახით დაგეგმა 93.9 ათასი ლარის შემოსავლის მიღება. ფაქტობრივმა შესრულებამ კი მხოლოდ 52.7 ათასი ლარი შეადგინა (56%).¹²¹ 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, იურიდიული პირებისა და მოსახლეობის მიერ გადაუხდელობა მოსაკრებელმა 52.8 ათასი ლარი შეადგინა.¹²² მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები იმ პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ მოსაკრებლის გადახდა.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს მერიის მიერ დაფუძნებული შპს „ხოზის დასუფთავება და განათება“. ¹²³ შპს იურიდიული პირებიდან მოსაკრებლის გადახდას უზრუნველყოფდა გაფორმებული

¹¹⁷ 2020-2021 წლებში გადახდილია 4.6 ათასი ლარი.

¹¹⁸ ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის წესდება, მუხლი 2.

¹¹⁹ ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ, მუხლი 1.

¹²⁰ საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №28.

¹²¹ 2020 წელს იურიდიული პირებზე გაწერილია 41.7 ათასი ლარი, გადახდილია 18.9 ათასი ლარი (43%); მოსახლეობაზე გაწერილია 4.0 ათასი ლარი, გადახდილია 1.3 ათასი ლარი (32%). 2021 წელს იურიდიული პირებზე გაწერილია 44.1 ათასი ლარი, გადახდილია 30.6 ათასი ლარი (69%); მოსახლეობაზე გაწერილია 4.0 ათასი ლარი, გადახდილია 2.0 ათასი ლარი (50%).

¹²² მათ შორის, 2020 წლის 1 იანვრისთვის გადაუხდელი მოსაკრებელი შეადგენდა 11.6 ათას ლარს.

¹²³ შპს „ხოზის დასუფთავება და განათება“ წესდება, მუხლი 4.

ხელშეკრულებების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს საჯარიმო სანქციას მოსაკრებლის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში. რაც შეეხება მოსახლეობას, მუნიციპალიტეტს არ აქვს გადამხდელთა ერთიანი სრულყოფილი ბაზა. შესაბამისად, გადასახდელ თანხაზე შეტყობინება ეგზავნება მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს და გადახდა სრულად არ კონტროლდება. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს შემოსავლებს და ბიუჯეტში ფიზიკური პირებიდან მისაღები მოსაკრებლის დაგეგმვა პირობითია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრულყოფილი ბაზა და ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №11

მერიამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

2.7.7 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,¹²⁴ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებში არ ჩაუტარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, არ განხორციელებულა აქტივების, ვალდებულებებისა და ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სადრიცხოვო მონაცემებთან შედარება. ასევე არ ჩატარებულა შემოწმება ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის წესების დაცვის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური

¹²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-2 და მე-3 მუხლები.

რეკომენდაცია №12

აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

2.8 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მერიაში საკრებულოს მიერ დამტკიცებული მერიის დებულების საფუძველზე იქმნება შიდა აუდიტის სუბიექტი, რომლის კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო. შიდა აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს რეკომენდაციების შემუშავებას დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე შესაბამის რეაგირებას. სამსახური ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. 2020-2021 წლებში სამსახური მოქმედებდა დამტკიცებული წლიური და სტრატეგიული გეგმების შესაბამისად და ჩაატარა 8 აუდიტორული შემოწმება.¹²⁵ მათ შორის, შესწავლილია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 3 იურიდიულ პირისა და მერიის 5 სამსახურის საქმიანობა.

აუდიტორული ანგარიშების მიხედვით, შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნები არ არის მიმართული კონკრეტული ნაკლოვანების გამოძიების მიზნების აღმოფხვრასა და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებაზე. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევაში გაცემულია კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულებები სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და მიღებული შედეგების შესახებ. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგი აუდიტის ობიექტებისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე არასაკმარისია.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და მონიტორინგის პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხარვეზებით. მერია არასათანადოდ იყენებს სამსახურს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისა და დაწესებულების მიზნების მისაღწევად.

2.9 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ხოზის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტმა არ უზრუნველყო

¹²⁵ 2020 წელს - 5, 2021 წელს - 3.

სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია წინამდებარე აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიმწოდებლებზე დარიცხული საჯარიმო სანქციების ბიუჯეტში მობილიზება;
- გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო;
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები ანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;
- მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები

გიორგი ჩახვაძე

წამყვანი აუდიტორი

თეა უდესიანი

უფროსი აუდიტორი

ნატალია სადარეიშვილი

უფროსი აუდიტორი

ლელა მიქაძე


აუდიტორი

თამარ კუხიანიძე

აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა







დანართი №1.

2020-2021 წლებში მოწყობილი და დაზიანებული ობიექტები (ათასი ლარი)

შესყიდვის №	ობიექტი	ღირებულება	ხარვეზი
NAT200006061	ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დაზიანებული სახურავისა და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.	373.0	დაზიანებულია შენობის გარე ფასადის რამდენიმე მონაკვეთი. ზოგ ადგილას ჩამოყრილია ნალესი და საღებავი.
NAT200002516	შუა ხორგის ადმინისტრაციულ შენობაში საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოები.	391.8	ადმინისტრაციული და ბაღის შენობის ფასადი დაზიანებულია. ჩამოყრილია ნალესი და საღებავი. ასევე კედლები დაზარალდა რამდენიმე ადგილას; ადმინისტრაციული შენობის ორი ოთახის კედელზე შეინიშნება დაზიანებები, ჩამოყრილია ბათქაში და საღებავი. ბაღის ერთ-ერთი ოთახი დაზიანებულია ნესტისგან. შენობაში მოწყობილი გათბობის სისტემა არ ფუნქციონირებს.
NAT200013255	პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები- მრავალწლიანი შესყიდვის გზით.	541.7	ახლად აშენებული საბავშვო ბაღის შენობაში ასევე განთავსებულია ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის ოთახი და ამბულატორია. შენობის შიგნით თითქმის ყველა ოთახის კედლები დანესტილია. მოწყობილი გათბობის სისტემა არ ფუნქციონირებს.
CMR210092729	ბიის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო ბიაში გზის მონაკვეთზე რკინა-ბეტონის საფარის დაგება	9.4	დაზიანებულია გზის დასაწყისი
NAT190001965	ხობის მუნიციპალიტეტის შავდელეს ადმინისტრაციული ერთეულის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო(ასფალტო-ბეტონის) სამუშაოები.	2498.9	გზის ორი მონაკვეთი, რომელიც ბეტონითაა დაფარული, დაზიანებულია მნიშვნელოვნად, ხოლო გზის რამდენიმე მონაკვეთზე შეინიშნება გრძივი და განივი ბზარები.
NAT200013077	ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლისა და შუა ხორგის ადმინისტრაციული	950.1	გზის ერთი მონაკვეთი მნიშვნელოვნადაა დაზიანებული: შეინიშნება ღრმა ბზარები და ორმოები.

	ერთეულის დამაკავშირებელი გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები-მრავალწლიანი შესყიდვის გზით		
CMR200098410	შავდელეს ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონის რეაბილიტაცია	14.9	ანტიკოროზიული საღებავი აცლილია. ასევე, არ არის ადგილზე კარის ბადეები. ერთ ადგილას მოხსნილია მავთულბადე.
NAT190023844	პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღის საბოლოო ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები	12.0	ბაღის ერთი ოთახის კედლები მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ნესტისგან. ჩამოყრილია ბათქაში და საღებავი.
CMR200098412	ახალი სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის შენობის ნაწილობრივ რეაბილიტაცია	14.0	სამზარეულოს ორ ოთახში ჭერი და კედლები დაზიანებულია (დაზიანებები გამოწვეულია სახურავიდან ჩამოსული წყალით).
CMR200102352	ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები	13.9	სახურავიდან ჩამოსულია წყალი. დაზიანებულია ჭერი და კედლები.
NAT190004382	ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	1422.9	ორ ადგილას მცირე მონაკვეთზე დაზიანებულია ბეტონის საფარი
სულ:		6,242.6	

დანართი №2.

მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხული და ამოუღებელი ჯარიმები (ათასი ლარი)

მიმწოდებელი	ხელშეკრულების რაოდენობა	დარიცხული 2020 წლამდე	დარიცხული 2020-2021 წლებში
შპს „შარა-გზამშენი პირველი“	21	52.0	-
შპს „შარა-გზამშენი პირველი“	9	-	204.4
შპს „კომპანიონი“	1	157.9	-
შპს „გუმბათი -7“	1	31.0	-
შპს „ბორი 85“	1	39.1	-
შპს „პროდუქტ სერვის ჯორჯია“	1	10.8	-
ი/მ „დავით ქორთუა“	1	8.6	-
ი/მ „დავით ქორთუა“	9	-	14.2
შპს „ბილდინგ გრუპ 17“	1	9.1	-
შპს „ბილდინგ გრუპ 17“	1	-	48.1
ი/მ „ბესიკ კვირტია“	4	7.6	-
შპს „ტაბალა და კომპანია“	2	6.3	-
შპს „გილანი XXI“	1	-	44.8
შპს „ტუ-კა“	1	-	5.4
შპს „ნიკაგია“	2	1.5	-
შპს „ნიკაგია“	3	-	2.1
შპს „მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“	1	-	8.6
ი/მ „გია გვამაზია“	1	-	8.1
შპს „მშენებელი 2017“	2	-	4.3
შპს „ბერმუხა“	2	-	3.3
შპს „ჯი-ემ ინვესტ ჯორჯია“	8	-	2.3
98 მომწოდებელს დარიცხული	139	93.1	44.3
სულ		417.0	389.9

დანართი №3.

2020-2021 წლებში ავტომობილებში ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით
ერთჯერადად ჩასხმის შემთხვევები

N	ავტომობილის სახ. ნომერი/ზარათის ნომერი	ავზის მოცულობა (ლიტრი)	ერთჯერადად ჩასხმული საწვავის რაოდენობა (ლიტრი)	სხვაობა (მეტობით ლიტრის ჩასხმა)	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო
1	ZS007SS (VIP-18)	75	81,98	6,98	13.02.2020	15:53
2			110,00	35,00	23.04.2020	13:15
3			115,00	40,00	29.12.2020	18:50
4			100,00	25,00	22.01.2021	14:41
5			137,99	62,99	30.06.2021	17:52
6			100,00	25,00	01.09.2021	20:35
7	BB 244 BC	53	61,00	21,00	14.11.2021	09:08
8			63,01	23,01	10.11.2021	16:58
9	BB 457 PP	60	79,57	19,57	01.12.2021	08:53 08:49
	ჯამი		848,5			

დანართი №4.

2020-2021 წლებში ავტომანქანებში ხობის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ შესაბამისი დასაბუთების გარეშე საწვავის ჩასხმის შემთხვევები:

2020 წელი			
N	ავტომანქანის/ზარათი ს ნომერი	საწვავის ჩასხმის ჯერადობა	საწვავის რაოდენობა (ლიტრი)
1	OB419BO	11	255,8
2	OC089CC	8	254
3	SM255MS	2	20
4	VIP-15	1	30
5	VIP-16	15	197
6	VIP-18	18	966
7	VIP-7	34	695
8	VVU-284	41	2441,9
9	AD643BC	1	48
10	BB244BC	3	125
11	BB248BC	12	325
12	VIP-12	2	40
13	VIP-2	2	57
14	VIP-5	12	287
15	VIP-23	4	84
16	QX492QX	1	50
17	LZL-117	3	171
18	VIP-1	2	39
19	VIP-3	1	30
20	VIP-13	5	236
21	VIP-14	1	15
22	OO210OK	1	20
23	SST-866	1	30
24	VIP-6	1	20
25	LL488MM	2	40
2021 წელი			
1	OB419BO	6	122
2	BB248BC	20	629,8
3	OC089CC	5	189
4	VIP-18	23	1269,7
5	VIP-5	13	301,9
6	VIP-7	18	482,0
7	VVU-284	45	2551,6
8	BB244BC	4	167
9	SD965DS	1	10
10	SM255MS	3	94
11	LZL-117	1	46
12	VIP-1	3	40
13	VIP-15	2	30
14	VIP-16	13	200
15	VIP-2	6	119
16	VIP-10	2	50
17	VIP-12	5	79,6
18	LL488MM	1	50
19	OO524SS	1	25
20	VIP-26	5	97
21	VIP-3	1	10
22	VIP-11	3	150
23	FTF-057	1	25,7

24	VIP-23	3	25
მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ ჩასხმული საწვავის რაოდენობა (ლიტრი)		369	13241
საწვავის ღირებულება (ლარი)			28171,4

დანართი №5.

2020-2021 წლებში შევსებულების დროს ავტომანქანის გამართვის შემთხვევები

წელი	ავტომობილის სახ. ნომერი	ჩასხმების რაოდენობა შევსებულების პერიოდში	საწვავის რაოდენობა (ლიტრი)	საწვავის ღირებულება (ლარი)
2020	OB419BO	5	90	237,6
2020	TT 527 OO	2	50	119,5
2020	TS 777 NI	1	20	52,8
2020	PXP-727	2	50	113,5
2020	IHI-110	1	50	119,5
2020	AD 875 BC	1	50	119,5
2020	SD 965 DS	4	50	109,5
2020	SST-866	3	80	187,6
2020	AD 643 BC	1	25	52,5
2020	OO 524 SS	1	50	132,0
2020	SH 200 ON	3	50	121,0
2020	SJ 007 GO	1	20	52,8
2021	DVB-111	1	30	75,6
2021	OC 089 CC	4	120	378,0
2021	US 389 SU	2	50	147,5
2021	TS 777 NI	3	50	155,4
2021	BS 575 SS	1	50	157,5
2021	OO 210 OK	2	50	159,0
2021	IHI-110	1	50	162,5
2021	OO 524 SS	3	80	231,2
2021	SH 200 ON	2	50	152,5
2021	SJ 007 GO	2	50	152,5
	ჯამი	46	1165	3189,5

დანართი №6.

არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენებული მიწები

საკადასტრო კოდი	მისამართი	დანიშნულება	ფართი (კვ.მ)
45.06.28.065	სოფელი თორსა-დღვაბა	სასოფლო-სამეურნეო	21809
45.06.28.059	სოფელი თორსა-დღვაბა	სასოფლო-სამეურნეო	25553
45.06.25.138	სოფელი თორსა-დღვაბა	სასოფლო-სამეურნეო	80150

45.06.25.134	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	70132
45.06.22.113	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	50285
45.06.25.140	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	9113
45.06.25.135	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	9653
45.06.25.245	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	49020
45.06.22.112	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	37223
45.06.25.139	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	68342
45.06.28.062	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	66424
45.06.22.107	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	77121
45.06.28.063	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	49145
45.06.28.058	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	46015
45.06.23.248	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	96676
45.06.25.135	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	11435
45.16.21.002	სოფელი შუა ხორგა	სასოფლო- სამეურნეო	2168
45.06.22.114	სოფელი თორსა- დღვაბა	სასოფლო- სამეურნეო	43686
სულ:			813 950

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური
მედია

<https://www.sao.ge/>

<https://www.budgetmonitor.ge/ka>

<http://www.blog.sao.ge/>

<http://www.sai.ge/main/>

<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>

<https://www.youtube.com/user/saogeorgia>

<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38